

სამართალთა იურიდიული კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION



СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

ჟურნალი გამოდის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის
ტექნიკური მხარდაჭერით

The journal is edited with the technical support of United Nations High
Commissioner for Refugees

Журнал выходит при технической поддержке Верховного Комиссариата ООН
по делам Беженцев



«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

“LAW”

Scientific-practical juridical journal

“ПРАВО”

Научно-практический юридический журнал

№6-7, 2003

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 2003

© Journal “Law”, 2003

© Журнал “Право”, 2003

მისამართი: 380094, თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29^ა

Address: 29^a Mitskevichi str., Tbilisi, 380094

Адрес: 380094, Тбилиси, ул. Мицкевича №29^а

Phone/Fax 39 19 92 E-mail: glu@wanex.ge

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ს ა კონსტიტუციო საპარტალი

ლაშარა რუხაძე - სასამართლო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	6
ირაკლი კოტეტიშვილი - საქართველოს კანონმდებლობაში რეფერენდუმის ინსტიტუტის სრულყოფისათვის	13

სამოქალაქო საპარტალი, პროცესი

პოლიკარბე (თემურ) მონიაგა - ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება	20
მარინა გეთია, ზურაბ ძლიერიშვილი - ლიზინგი და გადასახადები საქართველოში	23
ლევან ალაფიშვილი - დანაშაულის მოტივაცია და დანაშაულებრივი ქცევა	29
მაკა კარტოზია - საქორწინო ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება	32
დავით მუყანაძე - კავშირის წესდება	35
გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) - მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრება და საქორწინო კონტრაქტი სახელმწიფო მიწის გასხვისების წესთან მიმართებაში /საერთაშორისო კერძო სამართლის ასპექტი/	39

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ნუგზარ გაბრიშიძე - ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებზე ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება	42
გურამ ქარქაშაძე - ყაჩაღობის მიზეზების, ხელშემწყობი გარემოებებისა და მისი სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგიერთი პრობლემა	49
ზაზა ბეროზაშვილი - პასუხისმგებლობა ნარკოტიკების უკანონოდ შენახვისათვის ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში	59
იოსებ ალაფიძე - ტერორიზმის თავიდან აცილების საერთაშორისო ასპექტები	66
გონა ზოიძე - ევთანაზია - საზოგადოების ახალი ჭირი	69
ალექსანდრე კაცმანი - კომპიუტერული დანაშაულის საერთაშორისო კოდიფიკაცია	72
გიორგი ბარაბაძე - სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ობიექტი	76

სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

ომარ ჯორბენაძე - პირადი ჩხრეკა დაკავებისას (რამდენიმე მოსაზრება კანონმდებლობის სრულყოფისათვის)	81
--	----

ვაჟა გელაშვილი - წინასწარი გამოძიების დამთავრების არსი და მნიშვნელობა	88
---	----

თეა შაყულაშვილი - საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოს დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში	92
---	----

ზაზა ცინცაძე - დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეზე (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა)	99
--	----

კობა ბუაძე - შინაგანი რწმენის პრობლემა, როგორც ლოგიკური კატეგორია, სისხლის სამართლის პროცესში	108
---	-----

არჩილ რუხაძე - შინაგან საქმეთა ორგანოები და კომპიუტერული ტექნოლოგიები	111
---	-----

ადმინისტრაციული სამართალი

არჩილ ლორია - უცხოელის საქართველოდან გაძევება როგორც ადმინისტრაციული სახდელი	118
--	-----

სამართაშორისო სამართალი

კონსტანტინე კორკელია - ნორმატიული აქტების იერარქიული უპირატესობის პრინციპის გამოუყენებლობა ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპის მიმართ	121
---	-----

ბესიკ ბუთურიშვილი - „აღსრულების ქვეყნის“ ეროვნული კანონების მოქმედების ექსტერიტორიული პრინციპის განსაზღვრა	125
--	-----

მაია ბითაძე - ბიოუსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტები და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივის ანალიზი	127
---	-----

ირაკლი გაჩეჩილაძე - ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და საბჭოთა საქართველოს ე.წ. დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველი ეტაპის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები	134
--	-----

სახელმწიფოსა და სამართლის

ისტორია, თეორია

გიორგი თუმანიშვილი - სასჯელი ძველ ინდურ სამართალში	143
--	-----

ბესიკ ბერიძე - სამართლებრივი შეხედულებები აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში	148
--	-----

Rezume	153
--------------	-----

Search guide

CONSTITUTIONAL LAW

Lamara Rukhadze – Law Court and Informational Technologies 6

Irakli Kotetishvili – For Improvement of Referendum Institute in Georgian Legislation 13

CIVIL LAW, PROCEDURE

Polikarpe (Temur) Moniava – Concept of Respect and Dignity of a Physical Person 20

Marina Getia, Zurab Dzlierishvili – Leasing and Taxes in Georgia 23

Levan Alapishvili – Motivation of Crime and Criminal Behavior 29

Maka Kartoza – Nuptial (Wedding) Contract as Civil-legal Deal 32

David Mzhavanadze – Statute of Association 35

Giorgi Tumanishvili (junior) – Common Property of Spouses and Nuptial Contract in connection with Alienation of State Land (Aspect of International Private Law) 39

CRIMINAL LAW, CRIMINOLOGY

Nugzar Gabrichidze – Criminological Characterization of Crimes Committed Due to Family and Neighbor Conflicts 42

Guram Karkashadze – Several Aspects of Causes of Robbery, Fostering Circumstances and its Criminological Characterization 49

Zaza Berozashvili – Responsibility for Illegal Preservation of Drugs in some Countries of European Union 59

Ioseb Alavidze – International Aspects of Evading Terrorism 66

Gocha Zoidze – Euthanasia – New Plague of Society 69

Alexander Katsman – International Codification of Computer Crimes 72

Giorgi Barabadze – Object of Crimes Directed against the Interests of Entrepreneurial or other Organizations 76

CRIMINAL PROCEDURE, CRIMINALISTICS

Omar Jorbenadze – Personal Search during Arrest (several ideas for improvement of legislation) 81

Vazha Gelashvili – Essence and Importance of Completion of Preliminary Investigation 88

Thea Shakulashvili – Problem of Keeping Medical Secret in Criminal Law Case 92

Zaza Tsintsadze – Tactical Issues of Questioning about the Case Concerning the Crime Committed by Organized Group (Pilfering, Robbery, Brigandage) 99

Koba Buadze – Problem of Internal Belief as Logical Category in Criminal Law Process 108

Archil Rukhadze – Bodies of Internal Affairs and Computer Technologies 111

ADMINISTRATIVE LAW, PROCEDURE

Archil Loria – Expulsion of Foreigner from Georgia as Administrative Servitude 118

INTERNATIONAL LAW

Konstantine Korkelia – Misapplication of Principle of Hierarchic Advantage of Normative Acts towards Principle of Effective Protection of Human Rights 121

Besik Buturishvili – Determination of Extraterritorial Principle of Enactment of National Laws of Executive Country 125

Maia Bitadze – International Legal Instruments Connected with the Bio Safety and Analysis of Perspectives for their Establishment in Georgia 127

Irakli Gachechiladze – Creation of Trans Caucasian Federation and International Legal Aspects of the 1st Stage of Losing Independence of Soviet Georgia 134

HISTORY OF STATE AND LAW, THEORY

Giorgi Tumanishvili – Penalties in Old Indian Court 143

Besik Beridze – Legal Points of View in Ajara in the 2nd Half of the XIX Century 148

Rezume 153

გიორგი თუმანიშვილი
(უმცროსი)

მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრება და საქორწინო კონტრაქტი სახელმწიფო მიწის ბასხვისების წესთან მიმართებაში

საერთაშორისო კერძო სამართლის ასპექტი/

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის წესთან დაკავშირებული კანონმდებლობა კრძალავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისებას უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მაგრამ ამავედროულად არსებობს მრავალი გზა იმისა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის შემძენი გახდეს უცხო ქვეყნის ფიზიკური პირი ან „ნაციონალობით“ უცხო ქვეყნის იურიდიული პირი.

ნაშრომში განხილულია ორი შემთხვევა:

1. როდესაც კომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელი ან დამფუძნებელთაგანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა;

2. როდესაც საქართველოს მოქალაქე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება უცხო ქვეყნის მოქალაქესთან.

გაანალიზებულია თუ რა საშუალებებით და მექანიზმებით ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის შესყიდვა, კონკრეტულად ზემოაღნიშნულ შემთხვევებში.

1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“. აღნიშნული კანონი აწესრიგებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (შემდგომში სახელმწიფო მიწის) მართვისა და განკარგვის საკითხებს და განსაზღვრავს იმ სახ-

ლემწიფო ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმოადგენენ სახელმწიფოს. ამ კანონის მეორე თავი განსაზღვრავს სახელმწიფო მიწით სარგებლობისა და მისი გასხვისების საკითხებს.

წინამდებარე სტატიის კვლევის საკითხიდან გამომდინარე თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ზემოაღნიშნული კანონის მე-11 მუხლის პირველ ნაწილზე, კერძოდ, ფორმულირებაზე, რომ სახელმწიფო მიწის ნაკვეთები საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეყიდებათ მიწის სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების დაცვით, ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად დადგენილი ფასით. აღნიშნული მუხლის თანახმად, სახელმწიფო მიწა შეიძლება მიეყიდოს ა) საქართველოს მოქალაქეებს და ბ) საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. აღნიშნული მუხლი განამტკიცებს საქართველოს მოქალაქეთა უფლებას სახელმწიფო მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით. ეს მდგომარეობანი, ერთი შეხედვით, გამორიცხავს სახელმწიფო მიწის გასხვისებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მაგრამ ეს შეხედულება მცდარია როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქემ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების

შესაბამისად დააფუძნოს შ.პ.ს., რომლის დამფუძნებელიც მართო ერთი პირი იქნება, შემდეგ შეისყიდოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, განახორციელოს რამდენიმე გარიგებით ნაკისრი მოქმედებანი იმისათვის, რომ მისი საქმიანობა ჩაითვალოს სამეწარმეოდ და მოახდინოს საწარმოს ლიკვიდაცია კანონით და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ზემოაღნიშნულ მოქმედებათა განხორციელების შემდეგ მის საკუთრებაში გადმოვა იურიდიული პირის /შ.პ.ს./-ს საკუთრებაში არსებული ქონება და მათ შორის მიწა, რომელიც შპს-მ შეისყიდა სახელმწიფოსაგან, იგივე სქემა მოქმედებს ასევე სპს-სთვისაც, რომლის დამფუძნებლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირებისთვისაც. ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით შესაძლოა მოხდეს არსებული მიწის უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებსა და „ეროვნებით“ უცხო სახელმწიფოს იურიდიულ პირების ხელში. აღნიშნული ხარვეზი უნდა იქნეს გამოსწორებული ჩვენს სამართლებრივ სივრცეში.

განვიხილოთ მოდელი, რომელშიც საქართველოს მოქალაქემ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება უცხო ქვეყნის მოქალაქესთან, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, შეიძინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა. მიწაზე საკუთრების უფლება შემძენს წარმოეშობა მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მიხედვით აღნიშნული ქონება (მიწის ნაკვეთი), ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ქონება შეძენილი ქორწინების განმავლობაში, მოექცევა მეუღლეთა საერთო საკუთრების სამართლებრივ რეჟიმში. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების, მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლებები. მართალია, მიწის შემძენს, თუ იგი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე, შეუძლია ეს მიწა შემდგომ გაასხვისოს, მეუღლის თანხმობის გარეშე, ხოლო ნოტარიუსს ეკრძალება აღნიშნული გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისას მეუღლის ან სხვა პირთა თანხმობის გამოთხოვა /იხ. ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებების შესრულების შესახებ, მუხლი 42.1/.

იმავდროულად მეორე მეუღლეს უფლება აქვს საერთო ქონების გაყოფა მოითხოვოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. ამ შემთხვევაში, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არის დადგენილი, ერ-

თად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება (მათ შორის მიწის ნაკვეთი) ექვემდებარება გაყოფას.

ამგვარად, თუ საქორწინო ურთიერთობებში ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მას ქორწინების განმავლობაში შეუძლია სრულიად კანონიერი გზით /იხ. საქ. სამოქ. კოდ. 1164-ე მუხლი/, გახდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ხოლო საჯარო რეესტრი ვალდებული იქნება პირის საკუთრების უფლება აღრიცხოს.

აღნიშნულ შემთხვევაში მიწის გამოყოფა შესაძლებელია აცილებული იქნეს მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით. საქორწინო ხელშეკრულებაში შესაძლოა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ცალკეულ ნივთზე (როგორც უძრავ, ასევე მოძრავ ნივთებზე) დაწესდეს სხვადასხვაგვარი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული ხელშეკრულება საშუალებას მისცემს მხარეებს თვითონ განსაზღვრონ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი. საქ. მოქალაქეს ექნება საშუალება შეინარჩუნოს მის მიერ ნაყიდი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა ისე, რომ იგი ავტომატურად არ მოექცევა საერთო, თანაზიარ საკუთრების რეჟიმში.

რაც შეეხება პირველ შემთხვევას, კომერციული ტიპის საზოგადოებებთან მიმართებაში, აქ საქმე უფრო რთულადაა. იმის გამო, რომ არ არსებობს არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც ხელს შეუშლიდა „ნაციონალობით უცხო“ სახელმწიფოს იურიდიულ პირს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის შეძენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს და დღევანდელ დღეს უკვე გამოიწვია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისება და გადასვლა ფაქტობრივად უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების ხელში, რაც, მიმაჩნია, რომ არ არის მისასაღებელი ფაქტი.

დასკვნა: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების წესთან დაკავშირებული კანონმდებლობა კრძალავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისებას უცხო სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მაგრამ ამავდროულად არსებობს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1164-ე მუხლები, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი, 47-ე მუხლის პირველი ნაწილი და კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 21,24,32 და 36-ე მუხლები. ჩამოთვლილი ნორმები იძლევიან საშუალებას იმისა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა გადავიდეს უცხო ქვეყნის ფიზიკური პირის სარგებლობაში.

კანონმდებლის მიერ უნდა განისაზღვროს იუ-

რიდიული პირის „ნაციონალობის“ საკითხი და შე-
საბამისი ცვლილებები შევიდეს საქართველოს კან-
ონში „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასა-
სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა
და განკარგვის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველ და
მეორე ნაწილში.

თუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მი-
წის შესყიდვას აპირებს საქართველოს მოქალაქე,
რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაშია, მას უნდა
მოეთხოვოს ქორწინების დამადასტურებელი საბუთ-
ის წარდგენა, თუ ამ საბუთით დგინდება, რომ იგი
ქორწინებაშია უცხო ქვეყნის მოქალაქესთან, მაშინ
დამატებით უნდა მოეთხოვოს საქორწინო ხელშეკ-
რულების წარდგენა. რომლიდანაც შეიძლება დადგ-
ინდეს თუ რა ბედი ეწევა მომავალში სახელმწი-
ფოსა და საქართველოს მოქალაქის შორის დადე-
ბულ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს.

მართალია, ეს მექანიზმი ცოტაოდენ გაართულებს

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის გასხ-
ვისების პროცედურას, მაგრამ ეს ბუნებრივად მიმაჩ-
ნია, ვინაიდან საქმე გვაქვს სახელმწიფოს საკუთრე-
ბაში არსებულ მიწასთან, რომლის შემძენებადაც
მესახება, რომ შეიძლება იყვნენ საქართველოს მო-
ქალაქეები და „ეროვნებით ქართული“ იურიდიული
პირები.

რეზიუმე:

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდე-
ბლობა კრძალავს სახელმწიფოს საკუთრებაში არ-
სებული მიწის გასხვისებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებ-
სა და იურიდიულ პირებზე, კანონმდებლობის ეს
ნორმა არაეფექტიანია, ვინაიდან არ არსებობს იუ-
რიდიული პირის „ნაციონალობის“ დეფინიცია ქარ-
თულ სამართალში და არასრულია მიწის შესყიდ-
ვასთან დაკავშირებულ აუქციონში მონაწილეობის
მსურველთათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუცია.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
მართვისა და განკარგვის შესახებ“.
- იუსტიციის სამინისტროს ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ.
- საქორწინო კონტრაქტი და საერთო თანაზიარი საკუთრება ამზანაგობის ტიპის საზოგადოებებში მეუღლეთა
მონაწილეობის ასპექტში.
- გიორგი თუმანიშვილი, ჟურნ. „სამართალი“, 2002, №9-10 გვ.50-53.